



# პოლიტიკური კლასი

დავით დარჩიაშვილი


ტერმინ კლასს სოციალურ კვლევებში სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობენ. განსაკუთრებით დიდი ჯაფა ამ საკითხის გარკვევას მარქსმა და მარქსისტებმა შეაღიეს: მათ ისტორია კლასთა დაუსრულებელ ბრძოლად მიაჩნდათ, ოღონდ თან ელოდნენ, რომ კომუნიზმი დადგებოდა, ანუ კლასები გაუქმდებოდა და, ერთგვარად, ისტორიაც დასრულდებოდა. შესაბამისად, მარქსისტებს უნდა აეხსნათ, თუ რა არის კლასი და ახსნეს – კლასი და მისი წევრობა შრომის და ქონების დაგროვების საშუალებებთან მიმართებით განისაზღვრა. თუ ფლობ სიმდიდრის წყაროს – მიწებს, ქარხნებს (დღეს რამე ვირტუალურსაც დავამატებდით), კაპიტალს – ან მინთიმფლობელებს ეკუთვნის, ან კაპიტალისტი ხარ, ანდაც – ორივე ერთად. თუ მხოლოდ საკუთარ ფიზიკურ ძალას ფლობ, ხარ პროლეტარი. დანარჩენი შუალედური მდგომარეობებია. კლასს თავისი მრწამსი თუ იდეოლოგიები აქვს – ინტერესების დასაბუთების მექანიზმები, ფორმულები.

სხვები ამ საკითხს სხვანაირად უყურებენ და დღეს მათი შეხედულებები უფრო შესაფერისია როგორც ცხოვრებისთვის, ისე პოლიტიკის ანალიზისათვის, ვიდრე მარქსის შავ-თეთრი, მწვავე კონფლიქტების წამქეზებელი ხედვა. იმ დროს, როდესაც მარქსიზმი ევროპას მოედო, მისი ოპონენტი თეორეტიკოსები ლიბერალური და კონსერვატიული ბანაკებიდან, ერთი მხრივ, ამა თუ იმ კლასის წევრობას არა მარტო ქონებით, არამედ განათლებითა და პროფესიითაც განსაზღვრავდნენ, მეორე მხრივ კი, ცალკე გამოყოფდნენ ე.წ. მმართველ კლასს. საინტერესოა ისიც, რომ სოციოლოგები ადამიანებს აჯგუფებდნენ (დღესაც აჯგუფებენ) საუბრისა თუ კვების მანერის მიხედვით. მაგალითად, საფრანგეთში ბურჟუაზიის ზედა ფენას „მოკუმული პირით მოლაპარაკეებს“ ეძახდნენ, ფიზიკური შრომით დაკავებულთა ოჯახებში გაზრდილებს კი – „ღია პირით მოლაპარაკეებს“. გარკვეულწილად ესეც კლასობრივი დაყოფის კრიტერიუმებია.

ცნობილი ამერიკული საკონსულტაციო ფირმა „გელაპი“, რომელმაც სახელი მსოფლიო მასშტაბის სოციოლოგიური გამოკითხვებით გაითქვა, აშშ-ში კლასების ხუთ კატეგორიას გამოყოფს და რესპონდენტებს სთავაზობს, თავად განსაზღვრონ, თუ რომელ მათგანს მიეკუთვნებიან. შედეგად, დათვლილია, რომ დღევანდელ ამერიკაში ხუთი კლასი – მაღალი, მაღალი-საშუალო, საშუალო, მშრომელი და დაბალი – დაახლოებით შემდეგი პროპორციით ნაწილდება: პირველს თავს მოსახლეობის 3% მიაკუთვნებს, მეორეს – 15%, მესამეს – 43%, მეოთხეს – 30% და ბოლოს – 8%. მონაცემები „გელაპის“ საიტდანაა აღე-

ბული, სადაც აღინიშნება, რომ პროცენტები წლიდან წლამდე მერყეობს. კლასობრივი კუთვნილების მთავარი განმსაზღვრელი ამერიკელებისათვის შემოსავლის რაოდენობაა, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს ისეთ კატეგორიებს, როგორცაა განათლება, საცხოვრებელი უბანი თუ გემოვნება. საბოლოო ჯამში, ამერიკული მიდგომის სიბლი ისაა, რომ ადამიანი თავად ირჩევს, ვის და რას მიეკუთვნება იგი.

რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი გარემოება სუბიექტივიზმის ნიადაგს ქმნის: ზოგს არ აქვს ბევრი ფული, თუმცა თავი მაღალი კლასის წარმომადგენლად მიაჩნია, ზოგსაც – პირიქით. მაგრამ სხვაგვარი მიდგომა არანაკლებ პრობლემურია და, იქნებ, საზიანოც – თუ ჩვენ ადამიანს უკითხავად გამოვაცხადებთ გლახად, პროფესიონალთა ერთობის თუ საშუალო კლასის წევრად, მის ინდივიდუალიზმს დავივიწყებთ, ჭანჭიკად წარმოვიდგენთ, ოდენ სტატისტიკურ ერთეულად. ეს კი არაა კარგი და იმ დროს გვახსენებს, როდესაც ადამიანები არა მხოლოდ ქონებრივად განირჩეოდნენ, არამედ უფლებრივადაც. ეს იყო არა იმდენად კლასების, რამდენადაც ე.წ. ნოდებების დრო: აზნაურს თავისი უნდა მიეღო, გლახს კი მრავალი დაბრკოლება ელოებოდა. ჯერ ლიბერალურმა, შემდეგ კი სოციალისტურმა იდეოლოგიებმა ნოდებობას ომი გამოუცხადა. მართალია, ამ უკანასკნელმა ნიადაგი ჩაგვრა-ექსპლუატაციის ახალ, ე.წ. ტოტალიტარულ მოდელს შეუქმნა, მაგრამ ეს ცალკე ისტორიაა.



წოდებობის გავლენა კლასობრიობაზე და პირიქით – საინტერესო თემაა. ეგებ მისი გამოძახილიცაა, რომ ზოგიერთი ფინანსურად შეჭირვებული თავს მაინც მაღალი კლასების წევრად მიიჩნევს და ამით კლდეაშვილის შემოდგომის აზნაურებს გვახსენებს. მაგრამ ჩვენი საუბრის თემა მაინც სხვაა და ეს ყოველივე შესავალია. მე მაინტერესებს ავხსნა, თუ რა წილი აქვს საზოგადოების ამ ნაწილებს მართვაში, ანუ პოლიტიკაში, ვინაა ზემოხსენებული „მმართველი კლასი“.

როგორც ყველა კომპლექსურ საკითხზე, ერთმნიშვნელოვანი პასუხი სოციალურ მეცნიერებებს ამ კითხვაზეც არ აქვს. უკვე ნახსენები მარქსიზმი ყველაფერს მარტივად ახარისხებდა და თანამდებობის პირები ეკონომიკურად გაბატონებული კლასის/კლასების აგენტებად მიაჩნდა. შესაბამისად, მმართველი კლასი, რომელსაც ხშირად პოლიტიკურ ელიტას უწოდებენ, ან მინათმფლობელების ნების შემსრულებლებისაგან შედგებოდა, ან კაპიტალისტების, ანდა ორივესგან ერთად. მაგრამ ჩნდება კითხვა: რომელიმე მმართველი, რომელთა რაოდენობაც ცივილიზაციის განვითარების კვალობაზე იზრდებოდა, რაიმე კლასობრივ თავყრილობებს აწყობდა რეგულარულად, ანგარიშის ჩაბარებისა ან/და ახალი დავალებების მისაღებად? მაგალითად, ნაპოლეონი, რომელსაც საბჭოთა/კომუნისტური ისტორიოგრაფია ხალისით უწოდებდა ფრანგული ბურჟუაზიის აგენტს, ასე მართავდა თავის იმპერიას? მოკლე პასუხია – არა. თანამედროვე თეორიები არ უარყოფს, რომ მაღალი რანგის ბიუროკრატზე, არჩეულ დეპუტატზე, მინისტრზე და ა.შ. გავლენას ახდენს მისი წარმომავლობა, მაგრამ ეს ფაქტორი გადამწყვეტად არაა მიჩნეული. თუ რომელიმე მმართველს, დემოკრატია იგი თუ ავტორიტარი, მეზობლების ან მეგობრების გვერდში დგომა დასჭირდება, უმაღლესი ხდებიან მისი აგენტები, ვიდრე პირიქით. ამის საინტერესო მაგალითია ვლადიმერ პუტინი და მისი ახალგაზრდობის დროინდელი საძმაცხო ლენინგრადიდან (დღევანდელი სანქტ-პეტერბურგიდან). არ ვიცი, გსმენიათ თუ არა ძმები როტენბერგები ან, მაგალითად, ზოლოტოვი. პირველები პუტინის რუსეთის წამყვანი ბიზნესმენები არიან, განსაკუთრებით ერთ-ერთი, რომელსაც ანექსირებულ ყირიმში ხიდი ააშენებინეს და რომელმაც ე.წ. პუტინის სასახლის მესაკუთრეობა დაიბრალა. ზოლოტოვი რუსეთის გვარდიის სარდალია. პირველები პუტინთან ერთად ჭიდაობის სკოლაში დადიოდნენ, მეორე პეტერბურგის მერიის ხელმძღვანელობის მცველი იყო პუტინის იქ მუშაობისას. სია შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ პუტინი მათ აგენტად ვერანაირად ჩაითვლება. რა თქმა უნდა, ზოგჯერ მმართველი თა-



ვის კარისკაცთა გავლენის ქვეშ ექცევა. იგი შეიძლება მათ განზრახვებსაც შეენიროს. მაგრამ ეს „მმართველ კლასზე“ რომელიმე სოციალურ-ეკონომიკური კლასის ბატონობას კი არ აჩვენებს, არამედ – „სასახლის კარის თამაშების“ მნიშვნელობას.

და მაინც, სად იწყება და მთავრდება მმართველი კლასი? მასში რამდენი ადამიანი შეიძლება მოიაზრებოდეს? რა თქმა უნდა, ვისაც ისტორია უყვარს, მან იცის, რომ პატარა და დიდი ქვეყნები ან დემოკრატიები და დიქტატურები ამ მხრივ ერთიან სურათს ვერ შექმნიან. თუმცა, თუ ელიტების თეორიებს დავუჯერებთ, მათ შორის მსგავსებაც არის. მაგრამ, ალბათ, ჯერ უნდა ვიკითხოთ, რამდენად ღირს ამის გასარკვევად დიდი ენერჯის დახარჯვა? პასუხი მარტივია: თუ გვინტერესებს (პოლიტიკით, ისტორიით ან, თუნდაც, ეკონომიკით დაინტერესებულ ადამიანს აინტერესებს), რა წყობასა თუ სისტემაში ვცხოვრობთ, რანაირად ვირჩევთ მთავრობას და რა კონსტიტუციურ ჩარჩოში გვყავს იგი, მაშინ ისიც უნდა გავარკვიოთ, თუ ვის ვირჩევთ ან გვინიშნავენ; შემთხვევითია მათი გამოჩენა პოლიტიკურ ოლიგოპოზე თუ აქ რაღაც კანონზომიერება მუშაობს – არსებითად, ეს ხალხი ერთი წრიდან ხომ არ არის? როგორც, მაგალითად, ხელოვნების ფორმა და შინაარსი ვერ განიყოფა, ისევეა შეუძლებელი მსჯელობა კონსტიტუციაზე, თუ იქვე არ განვიხილავთ მის „მცველთა“ კოლექტიურ თუ ინდივიდუალურ პროფილს. ელიტათა თეორიის ფუძემდებელი, იტალიელი იურისტი და პოლიტიკოსი გაეტანო მოსკა ამბობდა, ხელისუფლებათა გაყოფა აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებად ბუტაფორიაა, თუ სამივეს ერთი და იგივე სოციალური ძალა, ანუ კლასი ავსებსო.

მოსკას შემოაქვს ტერმინი „მმართველი კლასი“. მისი თანამემამულე ვილფრედო პარეტო „მმართველ ელიტაზე“ ლაპარაკობს. ელიტების თეორიის მესამე ფუძემდებელი – რობერტ

მიხელსი, რომელიც ასევე იტალიაში მოღვაწეობდა, იმავე ფენომენს ოლიგარქიას ეძახის და მას განუხრელად ხედავს ყველგან – თვით დემოკრატიებშიც კი. დღესაც არაა თანხმობა, თუ რა სახელი დავარქვათ მმართველთა ერთობლიობას, მაგრამ მე პოლიტიკურ კლასს ან პოლიტიკურ ელიტას ვირჩევ და ამ არჩევანის დასაბუთებასაც შევეცდები.

ოლიგარქია, როგორც ჩვენი ინტერესის საგნის იარლიყი, მიუღებელია, რადგან იგი უფრო ელიტის ერთ-ერთი სახეობაა, ვიდრე ელიტა ყველა დროსა და სივრცეში. მას, არისტოტელედან მოყოლებული, მცირეთა ბატონობად აღიქვამენ და ამ მცირე ჯგუფში, ძირითადად, ძალიან მდიდრებს გულისხმობენ. ცხადია, რომ სახელმწიფოთა დიდი ნაწილი ასე არ იმართება, თუნდაც რომ სიმდიდრე გარკვეულ პრივილეგიებს ყველგან და ყოველთვის იძლეოდეს. მმართველ კლასსა თუ მმართველ ელიტას მე, როგორც ტერმინს, პოლიტიკურ კლასს/ელიტას ვამჯობინებ იმიტომ, რომ მოსკა-პარეტოსაგან განსხვავებით, რომლებიც XIX-XX საუკუნეთა ზღვარზე მოღვაწეობდნენ, თანამედროვე მკვლევრები უფრო ამ ტერმინებს ხმარობენ. ხოლო ცნება „კლასი“



ვლადიმერ პუტინი და არკადი როტენბერგი


„ელიტას“ სჯობს, რადგან ელიტურობას რაღაც სხვა, ზეალმატებულ მნიშვნელობებთანაც აქვს კავშირი, პოლიტიკოსები კი, ზოგიერთ ქვეყანაში მაინც, ზოგჯერ ველოსიპედიტაც დადიან.

ქვეყნებში, სადაც არჩევნები სამართლიანად ტარდება და ხმის უფლება ყველას აქვს, ხელისუფლებაში ნაირფერი სოციალური წარმომავლობის თუ ქონებრივი მდგომარეობის ადამიანები ხვდებიან. ამიტომ პოლიტიკური კლასი არასოდესაა ერთფეროვანი. ვილფრედო პარეტო ამბობდა, რომ იგი გარკვეული უნარების მქონე ადამიანთა ერთობაა და, როგორც წესი, „მელიებისა“ და „ლომებისაგან“ შედგება. პირველნი ანგარიშიანები არიან, მეორენი – შეუპოვრები თავიანთ რწმენაში. პარეტო მიიჩნევდა, რომ ქვეყნის მართვას მათი კომბინაცია სჭირდება, მოსკა კი ამატებდა, რომ ვისაც ხელისუფლებაში მართო გმირები სურს, აუცილებლად ცუდად დაამთავრებს. ერთი-ორი შტრიხიც პოლიტიკური კლასის შინაარსის განსასაზღვრად: რახან პოლიტიკით მუდმივად დაკავებულ ადამიანთა რიცხვი მაინც უმცირესობაა, რიგითი მოქალაქე კი მხოლოდ არჩევნებისას თუ ინჟებს საქვეყნო საქმით თავს, თანამედროვე მკვლევრებისათვის პოლიტიკური კლასი/ელიტა მუდმივ კონკურენციაში მყოფი აქტივისტებისაგან შედგება. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მგონია: პოლიტიკურ კლასში (თუმცა ეგებ ამ შემთხვევაში სიტყვა „ელიტა“ უფრო უპრიანი იყოს) მართო პოლიტიკური თანამდებობებისათვის მებრძოლები არ შეჰყავთ. როგორც ჯონ ჰიგლი განმარტავს, ასეთ ელიტაშია ყველა, ვინც მნიშვნელოვანი ორგანიზაციების სათავეშია და ვისი გადაწყვეტილებებიც რეგულარულად ახდენს გავლენას ეროვნულ პო-

ლიტიკაზე. ასე რომ, თუ კონკრეტულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით თეატრის დირექტორს, ეკლესიის მეთაურს, რომელიმე გამორჩეული არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მაფიის ბოსს უსმენენ, ისინიც კლასის/ელიტის წევრები გამოდიან. რაც შეეხება რაოდენობას, ვარაუდობენ, რომ რუსეთის ზომა-წონის ქვეყანაში ელიტაში/კლასში რამდენიმე ათასი ადამიანია, ჩვენს, ქართულ, მასშტაბებში კი – რამდენიმე ასეული.

პოლიტიკურ კლასში მუდმივი თანხმობა და ჰარმონია გამორიცხულია. ნახსენებ ჯონ ჰიგლის მასში შეიარაღებულ მემამბოხეთა ლიდერებიც შეჰყავს, თუკი ასეთები არსებობენ და მათი გავლენა საგრძნობია. მარქსის კვალაობაზე მიიჩნეოდა, რომ განხეთქილების ძირითადი მიზეზი შეიძლება იყოს განსხვავებული წარმომავლობა. ეს გასათვალისწინებელია, მაგრამ აღარაა დამაჯერებელი თანამედროვე მკვლევრებისათვის. როგორც ზემოთ ითქვა, იმავე პუტინის სიახლოვე პეტერბურგულ ჩრდილოვან ბიზნესთან არ ნიშნავს, რომ იგი მხოლოდ მათი წარმომადგენელია და სხვა წრეებისათვის – უცხო. ელიტების თეორიებით, ხელისუფლებაში მყოფს თუ გავლენის მქონეს უფრო საკუთარი პოზიციების შენარჩუნება ადარდებს, ვიდრე წარმომავლობა. საამისოდ იგი ნაირფერ კავშირ-ურთიერთობებს ამყარებს, მომხრეებს იმრავლებს და გუშინ ვისაც ებრძოდა, დღეს შეიძლება მოკავშირეობას სთავაზობდეს.


პოლიტიკა ბრძოლაა და მორალი იქ ისე არ/ვერ მუშაობს, როგორც მეგობრებთან თუ ჩვეულებრივ ადამიანებთან. მაგრამ თუ ბრძოლა ზღვარგადასულია, არანაირი მორალური ფარგლები არ გააჩნია, პოლიტიკური კლასი გარდა-







ვილზრადო პარეტო  
(1848-1923)



უვლად შედის კრიზისში. ასეთი კრიზისები ისტორიის მანძილზე უფრო წესად მოჩანს, ვიდრე გამონაკლისად. პარეტო ამბობდა: კაცობრიობის ისტორია არისტოკრატების სასაფლაოაო და ამ ტერმინში, რა თქმა უნდა, მმართველ ელიტებს გულისხმობდა.


გარდა პოლიტიკური (ძალაუფლებისა თუ მეტი ძალაუფლებისათვის) ბრძოლის მეთოდებში განურჩევლობისა, პოლიტიკური კლასის კრიზისის სხვა მიზეზებიც იწვევს. მოსკას თქმით, ნებისმიერი ელიტა მემკვიდრეობითობისკენ ხდება მიდრეკილი, რაც მის ჩაკეტილობას, შემდეგ კი უნარების დაქვეითებას იწვევს. საზოგადოება არ დგას უძრავად არც მატერიალურად და არც აზროვნების თვალსაზრისით. ჩნდება მოთხოვნა ახალ უნარებსა თუ იდეებზე და თუ იზოლირებულმა, საკუთარი მემკვიდრეების დასაქმებად ბინავებით დაკავებულმა ელიტამ ამას ვერ უპასუხა, იგი განწირული ხდება. სხვათა შორის, ეგებ ამიტომაც სჯობს ვილაპარაკოთ პოლიტიკურ კლასზე და არა ელიტაზე, რადგან ეს უკანასკნელი ტერმინი უკეთ ერგება მმართველთა ფენებს შორის პოლიტიკური ოპოზიციის მოაზრების ამოცანასაც.

ოპოზიცია-ხელისუფლების ურთიერთობის წესი და ფორმა გადამწყვეტია როგორც პოლიტიკური კლასის, ისე მთელი პოლიტიკური სისტემის – სახელმწიფოს სტაბილურობისათვის. ყველა განმარტებით, ოპოზიცია პოლიტიკური კლასის ნაწილია, თუ, რა თქმა უნდა, მას საზოგადოებაში საგრძნობი მხარდაჭერა აქვს. ცოტა რომ გავამარტივოთ, დეტალები გამოვტოვოთ, პოლიტიკური კლასის შიდა ურთიერთობების წესები და პრაქტიკა სამ მოდელზე დაიყვანება: 1. იქ, სადაც ხისტი იერარქიაა, სადაც პოლიტიკური ცენზურა მოქმედებს, ელიტა იდეოლოგი-

ურად გაერთიანებულია. 2. თუ აზრთა სხვადასხვაობა დაშვებულია, მაგრამ ელიტის დაპირისპირებული ფრაქციები არც ურთიერთობის ფორმებზე თანხმდებიან და არც პროცედურებისა თუ ინსტიტუტების კანონიერება/ლეგიტიმურობაზე, ვიღებთ დაშლილ ელიტას. 3. შესაძლოა ელიტა კონსენსუსით იყოს გაერთიანებული. ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა მსოფლმხედველობის მქონე პარტიები თუ პიროვნებები შეჯიბრის წესებზე თანხმდებიან და ინსტიტუტებსაც თანაბრად სცემენ პატივს.

ეს დაყოფა შემოგვთავაზებს ჯონ ჰიგლიმ და მისმა კოლეგებმა. ისინი მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური კლასის/ელიტის თითოეული მოდელი განსაზღვრავს იმას, იქნება თუ არა სახელმწიფო 1) სტაბილური, მაგრამ არადემოკრატიული, 2) დემოკრატიული, მაგრამ არასტაბილური და ბოლოს – 3) სტაბილურ-დემოკრატიული. რა თქმა უნდა, ეს დაყოფა სქემატურია და რეალობას ბევრი ნიუანსი ახლავს. შეიძლება ამ სამ მოდელს შორის საზღვრები ყოველთვის მკაფიო არ იყოს. მაგრამ მსგავსი სქემატიზაცია გვეხმარება კონკრეტული მაგალითების შეფასებაში, ამა თუ იმ ქვეყნის სტაბილურობის გაზომვაში. ავილოთ საქართველოს შემთხვევა:

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ (გალაკტიონი გამახსენდა), 2021 წლის 9 აპრილია. პრეზიდენტი გამოდის პარლამენტში და ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისზე საუბრობს. დიდი ხანია ამავეს ამბობენ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, უცხო ქვეყნების ელჩები თუ პოლიტიკოსები. მიზეზი ერთია: ქართული პოლიტიკური კლასი ვერ თანხმდება ორი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის კანონიერებაზე, ესენია: პარლამენტი და სისხლის სამართლის სისტემა (პროკურატურა და სასამართ-



ლო). პოლიტიკური კლასის გახლეჩა გადაეცემა საზოგადოებას და ისიც დაყოფილია. სხვათა შორის, ასეთი ვითარება საქართველოში პირველად არ არის: 1991-1992 წლებში ჩვენ სამოქალაქო ომის მომსწრენიც ვაგხდით. ალბათ, დამეთანხმებით, რომ საქართველო მეტ-ნაკლებად ერგება ჰიგლისა და მისი კოლეგების მეორე მოდელს. თუმცა, მეორე მხრივ, სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებით, საქართველო არა დემოკრატიულ, არამედ ე.წ. შერეულ პოლიტიკურ სისტემათა რიგს განეკუთვნება.

არისტოკრატია მოსკა, რომელმაც 1919 წელს იტალიის სამეფოს მუდმივი სენატორის წოდება დაიმსახურა, მმართველი კლასის რეგულარული განახლების მომხრე კი იყო, მაგრამ ქვედა ფენების კულტურული ზრდის და არა – ზედაფენების დეგრადირების ფორმით. მას აშინებდა საყოველთაო საარჩევნო უფლება, რადგან ამაში მოუშადადებელი მასების ემოციებზე პოპულისტური პოლიტიკოსების თამაშისთვის ნიადაგს ხედავდა. თუმცა, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა და იტალიაში სწორედაც პოპულისტური მუსოლინი პარლამენტარიზმს დაემუქრა, მოსკამ დემოკრატიის პრინციპები დაიცვა ცნობილი მანიფესტით, ასევე ძალიან ცნობილ იტალიელ ისტორიკოსთან – ბენედეტო კროჩესთან ერთად.

მოსკას სჯეროდა მრავალფეროვანი პოლიტიკური კლასის (მისთვის – მმართველი კლასის) მუდმივობის და საბოლოო ჯამში, ირჩევდა ლიბერალურ, ანუ წარმომადგენლობით დემოკრატიას, სადაც უმცირესობას თავისი უფლებები და გარანტიები აქვს. მას ყოველთვის აშინებდა უმრავლესობის მიერ ინდივიდთა დაჩაგვრის პერსპექტივა და აქედან მოდიოდა მისი სკეფსისი

ხელისუფლების მხოლოდ საარჩევნო უმრავლესობით დაკომპლექტების მიმართ. პოლიტიკური კლასის თანამედროვე მკვლევრებმა კიდევ უფრო დაახლოვეს დემოკრატიისა და ელიტების თეორიები.

დიახ, პოლიტიკაში, ანუ ქვეყნების მართვაში, ნიჭიერს, გამოცდილს, აქტიურს და, ზოგჯერ, მეტი რესურსების მქონეს გარდაუვალად ექნება უპირატესობა დანარჩენებთან შედარებით. ისიც გარდაუვალია, რომ ადრე თუ გვიან ამდაგვარად ფორმირებული მმართველი/პოლიტიკური კლასები გამოავლენენ ჩაკეტილობის და/თუ კორუფციის ტენდენციებს. რიგითი ამომრჩეველი უმეტეს შემთხვევებში შეზღუდული არჩევანის წინაშე რჩება – მას უწევს ხმა მისცეს ამა თუ იმ კარგად დამკვიდრებულ პოლიტიკურ დაჯგუფებას/პარტიას. მენეჯმენტი არსშივე გამოირიცხავს სრულ თანასწორობას მმართველთა და მართულთა შორის. მაგრამ ასევე ცხადია, რომ თუ პოლიტიკური კლასი პლურალისტურია, ანუ მასში არის ადგილი ნაირფერი საზოგადოებრივი ინტერესების წარმოდგენისა და კონკურენციისათვის, დემოკრატია არ დარჩება უბრალო ფიქციად. ჯონ ჰიგლი, თავის კოლეგებთან ერთად, უსვამს ხაზს, რომ პოლიტიკური კლასი/ელიტა არა მხოლოდ საკუთარ ნებასა და ენერჯიაზე, არამედ კიდევ ორ ცვლადზე – მთელ საზოგადოებასა და საერთაშორისო ძალებზე დამოკიდებული. ეს იძლევა იმგვარი წონასწორობის შანსს, რომ რიგითი ამომრჩევლის ხმა არ რჩებოდეს ხმად „მღალაღებლისა უდაბნოსა შინა“. თუ ეს შანსი ამა თუ იმ მმართველმა რატომღაც გააქრო, მოსპო, პოლიტიკური კრიზისი და ახალ ლიდერთა გაჩენა მხოლოდ დროის ამბავი ხდება.